





## საგანმანათლებლო პროგრამა

2022 წელი



## საგანმანათლებლო პროგრამა

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება- 02

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

ფაკულტეტი: ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: მეთინ მერჯანი, ასოცირებული პროფესორი, მობილური: (+995) 557 494 634, ელ-ფოსტა: [mmercan@ibsu.edu.ge](mailto:mmercan@ibsu.edu.ge);

განათლების საფეხური: დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი / Doctor of Business Administration

კვალიფიკაციის კოდი: 02

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 53 ECTS კრედიტი



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პროგრამის სტრუქტურა:** უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 53 კრედიტს და კვლევით კომპონენტს (დისერტაცია)

სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- უმაღლესი განათლების პედაგოგიკა - 5 კრედიტი;
- მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი - 10 კრედიტი;
- კვლევის მეთოდოლოგია - 8 კრედიტი;
- გამოყენებითი ეკონომეტრიკა - 5 კრედიტი;
- სადოქტორო სემინარი - 10 კრედიტი;
- არჩევითი კურსები - 15 კრედიტი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია ჩაირიცხოს პირი, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. უცხოეთში მიღებული დიპლომისა და ნიშნების აღიარება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამაზე ჩაირიცხვის მსურველი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით და აკმაყოფილებდეს სადოქტორო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს:

- უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შხსუ-ში;
- კანდიდატმა უნდა წარადგინოს 5 გვერდიანი საკვლევი თემის პროექტი, რომელიც შეფასდება დარგობრივისა დისერტაციო საბჭოს მიერ. საბჭო შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან (პროგრამის კოორდინატორი და მინიმუმ 2 შესაბამისი დარგის პროფესორი);
- საკვლევ თემის პროექტთან დაკავშირებული გასაუბრების წარმატებით გავლა.



## საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ინგლისურ ენაზე დასრულებული აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და მისი ნიშნების საშუალო (GPA) შეადგენს არანაკლებ 75 (სამოცდათხუთმეტი) ქულას 100 (ასი) ქულიდან ან 3 (სამი) ქულას 4 (ოთხი) ქულიდან, ასევე პირი, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეა, სადაც ინგლისური ენა პირველი/მეორე სახელმწიფო ენაა. ყველა სხვა კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა შზსუ-ში ან წარადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი.

საკვლევი თემის პროექტის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმი / დონე	არ არის ასახული	მიუღებელი	მისაღები, მნიშვნელოვანი ცვლილებებით	მისაღები, მცირე ცვლილებებით	მისაღები
სათაური: არც ჭარბად ვიწრო, არც ზედმეტად ფართო; ტერმინები ადეკვატურადაა გამოყენებული; ჟღერს თანამედროვედ	0	1-3	4-6	7-9	10-12
აქტუალობა და სიახლე: თემა თანამედროვეა, ნაკლებად შესწავლილი; სიახლისა და აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია	0	1-3	4-6	7-9	10-12
თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: ნაჩვენებია, თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე	0	1-3	4-6	7-9	10-12
ლიტერატურის მიმოხილვა: წარდგენილია ძირითადი მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას	0	1-3	4-6	7-9	10-12
კვლევითი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული	0	1-3	4-6	7-9	10-12
კვლევის მეთოდები შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული	0	1-3	4-6	7-9	10-12
ენობრივი აკადემიურობა და გამართულობა	0	1-3	4-6	7-9	10-12
ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია *: კანდიდატი თემის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას ახდენს,	0	1-4	5-8	9-12	13-16



## საგანმანათლებლო პროგრამა

შეუძლია დაასაბუთოს ნებისმიერისაკითხი	კვლევის გეგმის				
მთლიანი შეფასება:					

\* კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას წინა კრიტერიუმების მიხედვით, დაიშვება ინტერვიუზე; კანდიდატს, რომელიც მოაგროვებს 41-50 ქულას, შეუძლია ხელახლა შემოიტანოს გეგმა საბუთების ჩაბარების მითითებულ ვადებში.

\*\* კანდიდატი, რომელიც ინტერვიუში მოაგროვებს სულ ცოტა 9 ქულას, შეიძლება მიღებულ იქნას პროგრამაზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო აკადემიური ინსტიტუტებისა და ბიზნესის სექტორისთვის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დასახული მიზნების მაქსიმალურ განხორციელებას, პრობლემური საკითხების გადაჭრას და მათი კვლევის სფეროსა და ორგანიზაციების განვითარებას. სადოქტორო დონეზე ჩატარებული კვლევა საშუალებას აძლევს სტუდენტს წვლილი შეიტანოს არსებული ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაში. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ როგორც წარმატებული მკვლევარები და შესაბამისი დარგის (მენეჯმენტი/მარკეტინგი/ფინანსები) ექსპერტები.

**სწავლის შედეგები:** სწავლის შედეგი მოიცავს იმ კომპეტენციების ერთობლიობას, რაც განსაზღვრავს რა უნდა იცოდეს, ისწავლოს და გააცნობიეროს სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა საფეხურზე. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

- ის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც სტანდარტებით არის გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად;
- თანამედროვე ტენდენციებისა და თეორიების ცოდნა, რომელიც ხელსშეუწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარს ბიზნესში მარკეტინგის, / მენეჯმენტის / ფინანსების სფეროში არსებული ლიტერატურის კვლევის დროს, რომელსაც შემდგომ გამოიყენებს აკადემიურ პროცესში და რეალურ ბიზნეს გარემოში.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:



## საგანმანათლებლო პროგრამა

- დარგში და დარგთაშორის არსებული კვლევებისა და კრეატიული პროექტების გააზრება;
- არსებული თეორიების, მეთოდოლოგიების, ცოდნის და დარგში არსებული ფუნდამენტური კითხვების კრიტიკული გააზრება;
- სხვა სტუდენტების დახმარება კვლევის წარმოების დროს;
- პროფესიული უნარების დემონსტრირება უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე სწავლებისა და სტუდენტების ცოდნის შეფასების დროს;
- ცოდნის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება და დოქტორის წინაშე წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- კარიერული შესაძლებლობების გაღრმავება;
- ახალი უნარებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- საგანმანათლებლო და კვლევითისაქმიანობის დაგეგმვის უნარი; ლიტერატურის მოძიების და ანალიზის, კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიის არჩევის, ჰიპოთეზის ჩამოყალიბების და შედეგების ტესტირების უნარი.

### დასკვნის უნარი:

- საკუთარი ხედვის ჩამოყალიბების და ანალიზის უნარი, რომელიც ეფუძნება მოძიებული ლიტერატურის გაცნობას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას; პრობლემის მოსაგვარებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული გააზრების უნარი;
- მულტიკულტურული გარემოს ანალიზისა და პატივისცემის უნარი;
- საკუთარი საკვლევი საკითხის მოდელისა და მეთოდოლოგიის განვითარების, შედეგების დამუშავების, საზოგადოებაში და ბიზნესში არსებული პრობლემების შესახებ დასკვნის გაკეთების უნარი.

### კომუნიკაციის უნარი:

- სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, ლიდერებთან, მენტორებთან და გუნდის წევრებთან პროდუქტიული, გულწრფელი და პროფესიულ დონეზე თანამშრომლობის უნარი;
- ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებულ თემებზე საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოხატვის უნარი; პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე, კონფერენციებზე დებატებში მონაწილეობის უნარი;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი.

### სწავლის უნარი:



## საგანმანათლებლო პროგრამა

- სტუდენტი შეძლებს ეფექტიანად დაგეგმოს, განახორციელოს და დამოუკიდებლად გაუწიოს მონიტორინგი საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს;
- სტუდენტი შეძლებს აწარმოოს სხვადასხვა კვლევები, შექმნას პროექტები და მოამზადოს პუბლიკაციები ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემებისა და რეკომენდაციების შესახებ.

### ღირებულებები:

- ცოდნის ფორმირებაში წვლილის შეტანის უნარი;
- დარგში და დარგთაშორის არსებული ცოდნის და დისციპლინების პატივისცემა;
- აკადემიურ და ბიზნეს სფეროში ინოვაციების შეფასების, მათი სწავლების პროცესში და ბიზნეს გარემოში და ორგანიზაციებში გამოყენების უნარი.

### სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი/მოდული/ პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებებ ი
მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი	x	x	x			x
კვლევის მეთოდოლოგია	x	x	x	x	x	x
უმადლესი განათლების პედაგოგიკა	x	x	x	x	x	x
სამომხმარებლო ქცევითი თეორია	x	x	x	x	x	x
კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი	x	x	x	x	x	x
ორგანიზაციის თეორია	x	x	x	x	x	x
გამოყენებითი ეკონომეტრიკა	x	x	x	x	x	x
სადოქტორო სემინარი	x	x	x	x	x	x
პროფესორის ასისტირება	x	x	x	x	x	x





## საგანმანათლებლო პროგრამა

დისერტაცია	X	X	X	X	X	X
------------	---	---	---	---	---	---

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

**ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვას ტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქაქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რადროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას დაკ ორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

**პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეო მასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გაზიარებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების



## საგანმანათლებლო პროგრამა

სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

**პრეზენტაცია(ლექტორის მიერ)**– იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

**დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიოდავიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაგზავნით სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია** -ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქციანსაზღვრავსნებისმიერიცოდნისგადაცემისისეთფორმას, რომელიცზოგადცოდნაზედაყრდნობითახალიცოდნისაღმოჩენისლოგიკურპროცესსწარმოადგენსანუმასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

**ანალიზი**- თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის



## საგანმანათლებლო პროგრამა

შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზი**- მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

**გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

**დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები** - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარშემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშების ტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრეზენტაცია(სტუდენტის / სტუდენტების მიერ)**- თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლება** - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**ამოცანების ამოხსნა** - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.

**პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს სფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**ინდივიდუალური მუშაობა** - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

**წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა** - იგულისხმება ახალი ცოდნის მიღებისა და შექმნილი ცოდნისა და სპეციფიური უნარ-ჩვევების ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად დარგიდან ან სფეროდან აღებული კონკრეტულ პრობლემების გამოყენება.

**პრეზენტაციის მომზადება**- სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საკითხისა თუ თემის შესწავლა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, მონაცემებისა თუ არგუმენტების დამუშავება, ანალიზი და დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ავითარებს სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობის უნარს.

**პროექტის მომზადება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ პროექტის მომზადება. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეულ საკითხთან დაკავშირებით. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი.

**საშინაო დავალების შესრულება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლა** - გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზაცია ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

**სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება** ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინა დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპის გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა.

კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, დაცვისას, საბოლოო შეფასების სახით. სადოქტორო ნაშრომის შეფასება დაცვისას

სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

#	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	მინიჭებული ქულა
1	დისერტაციის თემის აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
3	მისითეორიული მნიშვნელობა	10	
4	სიახლე	10	
5	ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის/მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ლოგიკური მსჯელობა)	5	
7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	



## საგანმანათლებლო პროგრამა

8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	
<b>სულ</b>		<b>100 ქულა</b>	

შეფასება ხორციელდება #1-6 დისერტაციისა და პუბლიკაციების მიხედვით

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის ხდება შეფასების შემდეგის სტემის გამოყენება:

ა) ფრიადი (summa cum laude) - 91 ქულა და მეტი - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) - 71-80 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) - 61-70 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - 51-60 ქულა - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - 41-50 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 40 ქულა და ნაკლები - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას ა-დან ე-ს ჩათვლით - მას მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხის, ხოლო თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას „ვ“, მას აქვს უფლება გააუმჯობესოს და წარადგინოს ნაშრომი ხელახალ დაცვაზე ერთ წლის განმავლობაში. თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას „ზ“, მას არ აქვს ამავე დისერტაციის ხელახალი დაცვის უფლება.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები და მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. პირველი წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაფაროს სასწავლო კომპონენტის 53 კრედიტი, ხოლო სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ სტუდენტმა უნდა დაიწყოს სადოქტორო დისერტაციის მომზადება. სასწავლო კურსები შეთავაზებულია პირველ წელს.

კრედიტების დაანგარიშების საფუძველად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS), 1 (ECTS) კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს.





## საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესორის ასისტირება (5 კრედიტი)სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.იმ სტუდენტებს, ვისაც აქვთ აღნიშნული გამოცდილება, ამ 5 კრედიტის ათვისება შეუძლიათ სხვა არჩევითი საგნის არჩევით ან უნივერსიტეტის ნებისმიერი სადოქტორო პროგრამიდან, როგორც თავისუფალი კრედიტი.

სადოქტორო დისერტაცია უნდა იყოს ორიგინალური და დამოუკიდებელი ნამუშევარი, ორიენტირებული ახალი სამეცნიერო-კვლევითი შედეგების მიღებაზე.

დასრულებული დისერტაცია მოწმდება პლაგიატზე სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კომისიის წევრების მიერ. კომისია შედგება დისერტაციის ხელმძღვანელისგან, ექსპერტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისგან. აღნიშნული კომისია განსაზღვრავს დოქტორანტის აკადემიურ პატიოსნებას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით.

დისერტაციის დაცვაზე დოქტორანტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მას დასრულებული აქვს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კომპონენტი და გამოქვეყნებული აქვს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი პუბლიკაცია, საიდანაც ერთი გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად ინდექსირებად ჟურნალში, ინდექსების მაჩვენებელი (SSI , SOC, ან სხვები), ერთი სტატია - საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში, ხოლო ერთი - საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში.

დოქტორანტის დისერტაცია რომ შეფასდეს დადებითად, ის უნდა იყოს დამოუკიდებლად შესრულებული ორიგინალური ნაშრომი, რომელიც მოიცავს ლიტერატურულ მიმოხილვას ისტორიულ და თანამედროვე რაკურსში, თემის არჩევანის არგუმენტირებას, ანალიტიკურ კვლევას და კვლევის სტატისტიკურ მონაცემებს. დისერტაცია უნდა შეიცავდეს სიახლეს, აქტუალობას, სამეცნიერო/თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, ჰიპოტეზას . ჩარიცხულ დოქტორანტებს დაენიშნებათ ხელმძღვანელი პირველივე სემესტრიდან.

**დასაქმების სფერო:** დოქტორის ხარისხს, როგორც წესი არსებითი მნიშვნელობა აქვს აკადემიურ კარიერისთვის და სპეციალიზებულ სამეცნიერო თანამდებობისთვის კვლევით ორგანიზაციებში/ინსტიტუტებში. ასევე, გარდა სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა, დოქტორის ხარისხი და სწავლის პერიოდში მიღებული უნარ-ჩვევები და პრაქტიკა შესაძლოა მაღალ დონეზე შეფასდეს დამსაქმებლის მიერ და ხელი შეუწყოს მართვის და სხვა ფუნქციონალურ სფეროებში მაღალი თანამდებობების დაკავებაში როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში და ორგანიზაციებში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მიზნად ისახავს იმ ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების დახმარებას, ვინც ეძებს კარიერული შესაძლებლობებს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში. უფრო კონკრეტულად, დასაქმების სფერო შესაძლოა წარმოადგენდეს შემდეგს:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორც აკადემიურ ასევე ადმინისტრაციულ პოზიციებზე რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვა და განვითარება;
- სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, ისეთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე ბიზნეს გარემოსათვის დამახასიათებელ ტენდენციათა კვლევისა და კრიტიკული ანალიზის წამყვან ცენტრებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს);
- საჯარო და კერძო სტრუქტურებში;
- დამოუკიდებელ ბიზნეს ექსპერტებად მუშაობის შესაძლებლობა.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იტვირთება ლექტორების პრეზენტაციები, ყველა საკლასო ოთახი აღწურვილია პროექტორით რაც სლაიდების წარდგენის საშუალებს იძლევა.

გარდა ზემოხსენებულისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ინტერნეტი (უნივერსიტეტში არსებობს დამოუკიდებელი სამუსაოსთვის ცენტრი, სადაც ყოველდღე ხელმისაწვდომია ინტერნეტი), კომპიუტერული ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. სწავლის პროცესში სტუდენტს შეუძლია მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროფესორებისგან და სასწავლო პროცესის ადმინისტრატორებისგან. აბრეშუმის გზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დოქტორანტებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით კონფერენციებში.

შხსუ წევრია შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების:



## საგანმანათლებლო პროგრამა

- <https://www.jstor.org/>
- <http://polpred.com/>
- <https://clarivate.com/>
- [www.opendoar.org](http://www.opendoar.org)
- [www.roar.eprints.org](http://www.roar.eprints.org)
- [www.doaj.org](http://www.doaj.org)
- [www.beallslist.weebly.com](http://www.beallslist.weebly.com)
- [www.gutenberg.org](http://www.gutenberg.org)
- [www.memory.loc.gov](http://www.memory.loc.gov)
- [www.wdl.org](http://www.wdl.org)
- [www.obiblio.sourceforge.net](http://www.obiblio.sourceforge.net)

### სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კ რ ე დ ი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით			საათების განაწილება			სა კო ნტ აქ ტო
			I ს.წ.	II ს.წ.	III ს.წ.	საკონტაქტო			



## საგანმანათლებლო პროგრამა

		ტ ე ს ტ ა ვ ა ს ე ს ტ ა ვ ა	I ს ე ს ტ ა ვ ა	II ს ე ს ტ ა ვ ა	III ს ე ს ტ ა ვ ა	IV ს ე ს ტ ა ვ ა	V ს ე ს ტ ა ვ ა	VI ს ე ს ტ ა ვ ა	ლ ე ქ ც ი ა/ კ ონ ს ულ ტ ა ვ ც ია	ს ე მ ი ნ არ ი/ ჯ გ უ ფ ურ ი მ უ შ ა ობ ა/ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლი ს ა მ უ შ ა ო	შ უ ა ლ ე დ უ რი გ ა მ ო ც დ ( ა / ე ბ ი )	და ს კ ვ ნი თ ი გ ა მ ო ც და	ს უ ლ ს ა კ ონ ტ ა ქ ტ ო	დ ამ ო უ კ ი დ ე ლ ი მ უ შ ა ობ ა	ჯ ა მ უ რი ს ა თ ე ბ ი	ს ა ა თ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა კ ვი რ ა ში
სასწავლო კომპონენტი	სავალდებულო	53	30	30					57	156	12	12	237	1263	1500	15
უმაღლესი განათლების პედაგოგია	სავალდებულო	5	5						8	20	2	2	32	93	125	2
მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი	სავალდებულო	10	10						11	32	2	2	47	203	250	3
კვლევის მეთოდოლოგია	სავალდებულო	8	8						14	14	2	2	32	168	200	2
გამოყენებითი ეკონომეტრიკა	სავალდებულო	5		5					11	17	2	2	32	93	125	2
სადოქტორო სემინარი	სავალდებულო	10		10					-	28	2	2	32	218	250	2
	არჩევითი	15														
პროფესორის ასისტირება	არჩევითი	5		5					-	30	-	-	30	95	125	2
ლიდერობა განათლებაში	არჩევითი	5		5					14	14	2	2	32	93	125	2
ორგანიზაციის თეორია	არჩევითი	10		10					13	15	2	2	32	218	250	2
მომხმარებელთა ქცევის თეორია	არჩევითი	10		10					14	14	2	2	32	218	250	2
კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი	არჩევითი	10		10					12	16	2	2	32	218	250	2



## საგანმანათლებლო პროგრამა

კვლევითი კომპონენტი - დისერტაცია	სავალდებულო									-	120	-	-	120	2880	3000	2
სულ		53	23	30	30	30	30	30	30	57	276	12	12	357	3868	4325	17

### შენიშვნა:

1. სასწავლო კომპონენტი, პროფესორისასისტირება, სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის ვისაც არ გააჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.
2. ჯამური საათების განაწილებაში პირობითად ჩათვლილია მენეჯმენტის კურსში მოცემული საათების განაწილება;
3. სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით სტუდენტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ 3 სტატია (ერთი აუცილებელია იყოს რეფერირებულ საერთაშორისო ჟურნალში), და წარმატებით ჩააბაროს წინარე დაცვა.



## საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კოდი	ს ე მ ე ს ტ რ ი	წინაპირობა	ლექტორი	პირითადი ლიტერატურა
1	მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი	DBA72 5	I	-	ლაშა ქავთარაძე, დოქტორი, მოწვეული ლექტორი  ნური ბალთა, პროფესორი, მოწვეული პროფესორი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. P. Newbold, W.L.Carlson &amp; B.M. Thorne (2022), <i>Statistics for Business and Economics</i>, 10 Edition.</li> <li>2. Wooldridge, Jeffrey M. (2019), <i>Introduction to Econometrics – Europe, Middle and Africa Edition</i>.</li> <li>3. Bryan F.J.Manly (2017), <i>Multivariate Statistical Methods</i>. 3<sup>rd</sup> Edition.</li> </ol>
2	კვლევის მეთოდოლოგია	DBA70 3	I	-	ნიკოლოზ ფარჯანაძე, დოქტორი, ავილირებული პროფესორი  თორნიკე ხოშტარია, პროფ. მეთინ მერკანი, ასოც.პროფ.დრ	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Adams, J., Khan, H. T., Raeside, R., &amp; White, D. (2014). <i>Research Methods for Graduate Business and Social Science Students</i>. Los Angeles: Response Books. SAGE.</li> <li>2. Saunders, M., Lewis, P., &amp; Thornhill, A. (2019). <i>Research Methods for Business Studentes</i> (8th ed.). London: Pearson Education.</li> <li>3. IBSU. (2015). <i>Guidelines for Thesis Writing – IBSU Regulations on Thesis Writing</i>. Tbilisi: International Black Sea University.</li> <li>4. Singh, K. (2007). <i>Quantitative Social Research Methods</i>. Los Angeles: SAGE Publications.</li> </ol>



## საგანმანათლებლო პროგრამა

3	უმალესი განათლების პედაგოგია	DBA707	I	-	ნათელა დოღონაძე, დოქტორი, აფილირებული პროფესორი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Eggen, P. and Kauchak, D. (2016). <i>Educational Psychology</i>. Pearson Education International. – available at IBSU library</li> <li>2. Ambrose, S.A. et al. (2010). <i>How learning works</i>. San Francisco: Jossey-Bass.</li> <li>3. Doghonadze, N. (2015). <i>Higher Education Pedagogy. Course notes</i>. Tbilisi. IBSU – available at SMART Learning</li> </ol>
4	კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი	DBA704	II	კვლევის მეთოდოლოგია	მეთინ მერჯანი, დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ქეთევან ლაფაჩი, დოქტორი, აფილირებული პროფესორი თეა კბილცეცლაშვილი, დოქტორი, აფილირებული პროფესორი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Pascal Q., Maurizio Dallocchio, Yann le Fur and Antonio Salvi (2014) 4 edition. <i>Corporate Finance Theory and Practice</i>. Wiley</li> <li>2. Brealey, Myers and Allen (2023). <i>Principles of Corporate Finance</i>. 14 edition McGraw-Hill.</li> <li>3. Jonathan Berk and Peter DeMarco 5 edition (2020). <i>Corporate finance</i>. Pearson.</li> <li>4. Tirole, Jean (2005). <i>The Theory of Corporate Finance</i>. Princeton University Press Finance.</li> </ol>
5	მომხმარებელთა ქცევის თეორია	DBA715		კვლევის მეთოდოლოგია	კახაბერ ჯაყელი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი არიან მატინი, შვილობილი ასოც.პროფ.დრ. გიორგი ბერულავა, დოქტორი, მოწვეული ლექტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Bamossy, Gary J._ Solomon, Michael R : <i>Consumer Behaviour: A European Perspective</i> May 2, 2016, Pearson Education.</li> <li>2. Schiffman, Leon G.; Wisenblit, Joseph. <i>Consumer Behavior</i>.12 edition 2019, Pearson</li> <li>3. Domen Bajde (editor), Dannie Kjeldgaard (editor), Russell W. Belk (editor).<i>Consumer Culture theory</i>. Emerald Publishing Limited, Year: 2019</li> </ol>
6	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	DBA713	II	-	1. ლაშა ქავთარაძე, დოქტორი, მოწვეული ლექტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. M. Verbeek, “A Guide to Modern Econometrics”, 2nd edition, 2017</li> <li>2. H. Yamada, “A Note on Band-Pass Filters Based on the Hodrick-Prescott Filter and the</li> </ol>



## საგანმანათლებლო პროგრამა

					2. დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, ავილირებული პროფესორი 3. ნური ბალთა, პროფესორი, მოწვეული პროფესორი	OECD System of Composite Leading Indicators”, 2012. 3. <a href="http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/economics/a-note-on-band-pass-filters-based-on-the-hodrick-prescott-filter-and-the-oecd-system-of-composite-leading-indicators_jbcma-2011-5kgopb01sbbt#.Wi1PQ9-WZPY#page1">http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/economics/a-note-on-band-pass-filters-based-on-the-hodrick-prescott-filter-and-the-oecd-system-of-composite-leading-indicators_jbcma-2011-5kgopb01sbbt#.Wi1PQ9-WZPY#page1</a> 4. J.D.Hamilton, “Time Series Analysis”, 1994 5. D.F.Hendry, “The Econometrics of Macroeconomic Forecasting”, 1997.
7	ორგანიზაციის თეორია	DBA730	II	კვლევის მეთოდოლოგია	მაკა ბულულაშვილი, ავილირებული ასოცირებული პროფესორი	1. Jones G.R., Organizational Theory, Design and Change, 7 <sup>th</sup> Edition, Peason Pulication, 2013 2. McAuley J., Duberley J., Johnson P., Organizational Theory, Prentice Hall, 2007
8	სადოქტორო სემინარი	DBA727	II		პროგრამაში ჩართული დარგის შესაბამისი ლექტორი	1. Bjorn Gustavii. How to write and illustrate a Scientific Paper. Second Edition, Cambridge University Press, 2016 2. George M.Hall. How to write a paper.5 <sup>th</sup> Edition, Wiley-Blackwell, 2013 3. Kathlen McMillan and Johathan Wayers.How to write dissertartation and Project Report. Pearson.2007. 4. Literature students and lecturer find on the internet and IBSU library or other library to related their topics 5. Lecturer decides the seminars materials upon students dissertation topics
9	პროფესორის ასისტირება	DBA712	II	უმალესი განათლების პედაგოგია	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი პროფესორი (ასოცირებული პროფესორი)	
10	ლიდერობა განათლებაში	EDU735	II	-	ასოც.პროფ.დოქტ.ირმა მესირიძე	1. Northouse Peter G. – Leadership (Theories and Practice; 7th addition); Saga Publications, 2021





## საგანმანათლებლო პროგრამა

					<p>2. Michael Fullan and Geoff Scott – Turnaround Leadership for Higher Education; Jossey Bass, San Francisco, 2009.</p> <p>3. Anonymous. Change Management Leadership Guide. Ryerson University, 2011</p> <p>4. Anonymous. PPTA Education Change Management Toolkit; New Zealand 2016</p> <p>5. Allaire, J. Five Issues Facing Higher Education in 2018 (2018). Retrieved from : <a href="https://www.cornerstone.edu/blogs/lifelong-learning-matters/post/five-issues-facing-higher-education-in-2018">https://www.cornerstone.edu/blogs/lifelong-learning-matters/post/five-issues-facing-higher-education-in-2018</a></p> <p>6. Anonymous. Authentic Leadership – To thine own self be true. The Insights Group Ltd, 2014. Retrieved from : <a href="file:///D:/EDU%202015-2016%20ACADEMIC%20YEAR%20FALL%20SEMESTER/Leadership%20in%20Higher%20%20Education%20-PHD%20-%202017/Articles/authentic-leadership.pdf">file:///D:/EDU%202015-2016%20ACADEMIC%20YEAR%20FALL%20SEMESTER/Leadership%20in%20Higher%20%20Education%20-PHD%20-%202017/Articles/authentic-leadership.pdf</a></p> <p>7. Bartel, S. Pushing for gender equality in higher ed leadership.(2018) Retrieved from: <a href="https://www.educationdive.com/news/pushing-for-gender-equality-in-higher-ed-leadership/523147/">https://www.educationdive.com/news/pushing-for-gender-equality-in-higher-ed-leadership/523147/</a></p>
--	--	--	--	--	---